2. შენ კი, ეფრათაი ბეთლემო, პატრა ხარ იუდაი ათასეულებში, ამა შენგან გაამივა მეფე ისრაელში, და თავითავ იქნება იმი დაბადება, იმაშინდელ დღიიბიდან.” მიქა 5:2 (700 წლით წინ)

რახანაც იესო დაიბადა იუდეაი ბეთლემში, მეფე ჰეროდეი დღიიბში.

იოსებიც წავდა გალილეაითი, ქალაქ ნაზარეთით იუდეაში, დავითი ქალაქში, რემენსაც ეზახიან ბეთლემ.

მაგათ იქ ქნაში შოვსრულდა მარიამ განაჩენ დღიიბი მათ. 2:1. ლუკ 2:4-6.

3. უგიმიბეი ღმერთი თუთან მოგცემსყე ნიშან: ქალწული დაორსულდება და გააჩენს ბიჭ და დოვზახებენ ემანუელ (ღმერთი ჩონთან არი)! ეს. 7:14. (700 წლით წინ).

 სურამე ეისე მოჰხდა, რომ ასრულებულიყო ღმერთი ნათქომი წინასწარმეტყველიგნი, რემენიც ამბოვს: “ქალწული დაორსულდება და გააჩენს ბიჭ და დოვზახებენ ემანუელ! - რაც თარგმანით ნიშნავს: “(ღმერთი ჩონთან არი).”

 მეექვსე თვეში კი გამაიგზავნა ღმერთიგან გაბრიელ ანგელოზი გალილეაი ქალაქში, რემნი სახელიც ნაზარეთია, ქალწულთან, რემენიც დანიშნული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითი სახლით, და ქალწული სახელი იყო მარიამი. და შევდა მაგასთან და უთხრა: “გიხაროდეს, მიმადლებულო, შენთან არი ღმერთი. დალოცილი ხარ შენ დედაიბში.” ის აღელდა ამ სიტყვევზე და ჩაფიქდა: რას უნდა ნიშნავდეს ეი მისალმებავო? და უთხრა მაგა ანგელოზმა: “ნუ გეშნინ, მარიამ, მადლი გაქო ღმერთთან ნაპოვნი. აჰა, დაორსულდები და გააჩენ ბიჭ და სახელად იესოს დოვზახევ. მათ 1:22,23. ლუკ. 1:26-31.

4. და დავლოცავ შენ დამლოცველ და დავწყევლი შენ მაწყევარ. და შენში დაილოცება მიწი სრუ ხალღები” და დაილოცება შენ მოდგმით დედამიწაი სრუ ხალღი, უგიმიბეი, რომ ჩემი ხმა მაისმინე .” (ღმერთი ებნება აბრაამ (იბრაჰიმას) იესოი დაბადებით 2000 წლით წინ

 წიგნი დაბადებისა იესო ქრისტეისი: დავითი ბიჭისი აბრაამი ბიჭისი. დაბ. 12:3; 22:18. მათ. 1:1.

5-6. და უთხრა ღმერთმა აბრაამ: “ შენ დედაკაცი, სარა, გაგიჩენს ბიჭს, და დოვზახევ ისაკ. და დავდევ მაგასთან ჩემ დაპირებას სამუდამოდ მაგი მოდგმაიბეი მაგასუკან.

და უთხრა ღმერთმა აბრაამ: “ნუ ჰწუხხარ პატრა ბიჭზე და შენ მოსამსახურეზე. რასაც გეტყის სარა, დოვსმინ, უგიმიბეი, რომ ისაკით იქნება შენ თესლი. (2000 წლით წინ)

თუთან იესო, რახანაც იწყოვდა, იქნებოდა ოცდაათ წლისი და, როგორც ფიქროვდნენ, იყო შილი იოსებისი, ყელისი, იაკობისი, ისაკისი, აბრაამისი, თერახისი, ნახორისი,

აბრაამმა გააჩინა ისაკი; ისაკმა გააჩინა იაკობი; იაკობმა გააჩინა იუდა და მაგათ ზმები; დაბ. 17:19. 21:12. რიცხვ. 24:17 ლუკ. 3:23,34. მათ. 1:2.

7. არ მოჰცილდება კვერთხი იუდას და მბრძანებელ არგანი დაჰჩება მაგი ფეხევ შუა, სანამ არ მუვა მისაც ის ეკუთნის და დეემორჩილებიან მაგა ხალღები! (1400 წლით წინ)

აშქარარი, რომ ჩონ უფალი გომოჩნდა იუდაითი, ამ ტომი მღვდლობაზე კი რამე არ უთქომ მოსეს. დაბ. 49:10. ებრ. 7:14

8. და რახანაც დრო მოგივა და შენ მამაიბთან დაიმარხები, მე გავაცოცხლევ შენს მემრე შენ თესლ, რემენიც შენ საზრდულით გუმუვა, და მაგი მეფობას გავამაგრევ და ის ააშენევს სახლ ჩემ სახელიბეი და მე დავამტკიცევ მაგი მეფობი ტახტ უკანახიანამდინ.

უგიმიბეი, რომ გაიზარდოს შუდობა და მთავრობა უმოვჩენლად, დავითი ტახტზე და მაგი სამეფოზე, უგიმიბეი რომ გაამაგროს და დადგოს სიმართლით და სისწორეითი დღეითი და უკანახიანამდინ. ღმერთი სიმდომე გააკეთევს ეიმა.

დიდი იქნება უგისე და მაღალ ღმერთი შვილად იწოდება. და მიჰცემს მაგა ღმერთი მაგი მამაი, დავითი ტახტ და უკანახიანამდინ იმეფევს იაკობი სახზე და მაგი მეფობას არ ექნება მოჰჩენა. (1400-700 წლით წინ)

პავლე, იესო ქრისტეი ყული, მაგი აჰჩევ მოჰწავლე, ღმერთი სახარებაიბეი აჰჩევლი, რემენიც წინაჰწარ დაპირებული ჰქონდა თავი წინასწარმეტყველებიგნი წმინდა წერილევში თავი შულზე, რემენიც დავითი ნასლით დაიბადა.

2 მეფ. 7:12-13. ეს. 9:7. ლუკ 1:32,33. რომ. 1:1-3.

9. შენ ტახტი ღმერთო ახირამდინ არი. შენ დალოცილ ჟოხი სიმართლისია, რემნითაც მეფოვ. შენ შეიყვარე სიმართლე და შეიზულე ფინთობა; უგიმიბეი ღმერთმა, შენ ღმერთმა სიხარული ზეთი დაგასხა შენ მეგობრევზე მაგრა.

უგი მეფეიბი ნაქნარ დღიიბში, ცაში ნაქნარ ღმერთი ააშენევს სამეფოს, რემენიც ახირამდინ არ დაინგრევა, და ეი სამეფო სხო ხალღი ხელში არ გადვა. ის დაანგრევს სხო სამეფოიბ და თუთან კი ბოლომდინ იდგება. (1000-600 წლით წინ)

სამუდამოდ იმეფევს იაკობი სახზე და მაგი მეფობას არ ექნება ახირი.

თავი შულზე კი ამბოვს: "შენ ტახტი ღმერთო ახირამდინ არი. შენ დალოცილ ჟოხი სიმართლისია, რემნითაც მეფოვ. შენ შეიყვარე სიმართლე და შეიზულე ფინთობა; უგიმიბეი ღმერთმა, შენ ღმერთმა სიხარული ზეთი დაგასხა შენ მეგობრევზე მაგრა". და "შენ გააჩინე, უფალო, დასაწყისიბეი მიწა და ცა შენ ხელი საქმეერი. ისენი დაიღუპებიან, შენ კი დაჰჩები და სურამე ჩააცმელივი დაზელდება. პლაშივი დაჰგორგლავ უგიმათ და ჩააცმელივი გამაიცლებიან. შენ კი უგისავ ხარ და შენ წლები არ მოჰჩება".

ფსალ. (45) 44:6,7. დან. 2:44. ლუკ 1:33. ებრ. 1:8-12.

10. უგიმიბეი ღმერთი თუთან მოგცემსყე ნიშან: ქალწული დაორსულდება და გააჩენს ბიჭ და დოვზახებენ ემანუელ (ღმერთი ჩონთან არი)! (700 წლით წინ)

“ქალწული დაორსულდება და გააჩენს ბიჭ და დოვზახებენ ემანუელ! - რაც თარგმანით ნიშნავს: “(ღმერთი ჩონთან არი).” ეს. 7:14. მათ. 1:23.

11. რახანაც პატრა იყო ისრაელი და მიყვარდა ის, ეგვიპტეითი დოვზახე ჩემ შულ. (700 წლით წინ)

ადგა ღამით წაიყონა პატრა და მაგი დედა, და წავდა ეგვიპტეში. და იქ იყო ჰეროდეი მოკდომამდინ, უგიმიბეი, რომ შესრულებულიყო უფლი წინასწარმეტყველი ნათქომი, რემენიც ამბოვს: "ეგვიპტეითი დოვზახე შემ შულ". ოს. 11:1. მათ 2:14,15.

12. თქო უფალმა: "ხმა გაისმა რამაში, გოდება და მწარე ტირილი, რახელი დაჰტირის თავი შულევ: არ უნდა მიმეი გული ოვღოს, უგიმიბეი, რომ ისინი უჟერ აღარ არიან". (700 წლით წინ)

დიახ მაგრა გაჟავდა ჰეროდე, რახანაც დაინახა რომ მაატყუვეს მოგვევმა. გაგზავნატე და მააკლევნა სრუ პატრა ორ წლისები და მაგათზე პატრები ბათლემში და უგიქავრობაში. უგიმაშინ შესრულდა წინასწარმეტყველ იერემიაი ნათქომი, რემენიც ამბოვს: "ხმა გაისმა რამაში, გოდება და მწარე ტირილი, რახელი დაჰტირის თავი შულევ: არ უნდა მიმეი გული ოვღოს, უგიმიბეი, რომ ისინი უჟერ აღარ არიან". იერ. 31:15. მათ. 2:16-18.

13. უდაბნოში ნაღიღინ ხმა: "გოვმზადეთ ღმერთ გზა, გოვჰწორეთ მინდორზე ჟიღირი ჩონ ღმერთ." სრუ ხევი ამაღდება და სრუ მთა და ქობარი დადაბდება, და ციცაბო წორ მინდორად გადაიქცევა და დაგრეხულ მთა-დაბლობად. გომოჩდება უფლი დიდება და დაინახავს სრუ ცოცხალ არსება ერთა, უგიმიბეი, რომ ღმერთი პირმა თქო. (700 წლით წინ)

ეტარებოდა იორდანეი ბითოვ უგიქავრობაში და ქადაგევდა მონანიები ნათლიღებას გუნაჰები საპატიებლა, როგოც დაწერულია ესაი წინასწარმეტყველი წიგნში: "უდაბნოში ნაღიღინ ხმა: "გოვმზადეთ ღმერთ გზა, გოვჰწორეთ მინდორზე ჟიღირი ჩონ ღმერთ." სრუ ხევი ამაღდება და სრუ მთა და ქობარი დადაბდება, და ციცაბო წორ მინდორად გადაიქცევა და დაგრეხულ მთა-დაბლობად. გომოჩდება უფლი დიდება და დაინახავს სრუ ცოცხალ არსება ღმერთისგან გადაჰჩენას." ეს. 40:3-5. ლუკ. 3:3-6.

14. შორეული გავხდი ჩემ ზმებიბეი და უცხო-ჩემ დედაი შულებიბეი.

შაზიზღო იყო ის და ხალღიგნი მიტოვებული, და ჩონ კიდე პირ ვარიდევდით მაგა, შაზიზღო იყო და არაფრად ვაგდევდით. (1000-700 წლით წინ)

თავისიანევთან მოვდა და თავისიანევმა არ მიიღეს, უგიმაზე რომ მაგი ზმევსაც კი არ ჰწამდაყე მაგისი. ფსალ. (69) 68:8. ეს. 53:3 იოან. 1:11; 7:5.

15. ჩემჟურა წინასწარმეტყველ, ჩემ ნასლით, შენ ზმებით მააყონია ღმერთი, მაგა დოვსმინეთ. (1400 წლით წინ)

უგიმიბეი რომ დადგეს განახლები დღიიბი ღმერთი პირით და გომგიგზავნოსყე წინაჰწარ დაწესებულ ქრისტე იესო, რემენიც ზეცამ უნდა მიიღოს, სანამ სურამე დაბრუნდა, რასაც ღმერთი თავითავ ამბოვდა თავი წმინდა წინასწარმეტყველები პირით. უგიმიბეი, რომ მოსემ თქო: ჩემჟურა წინასწარმეტყველ, ჩემ ნასლით, შენ ზმებით მააყონია ღმერთი, მაგა დოვსმინეთ. რჯლ. 18:15. საქ. 3:20-22.

16. აჰა, გომგიგზავნისყე ელია წინასწარმეტყველ ღმერთი დიდ და შაშინო დღი დადგომამდინ. ის მამაიბი გულ შულებთან დააბრუნევს და შულები გულ მამაი გულებთან, რომ ჩემ მოსულაში არ მოვსპო ქვეყანა დაწყევლით." (450 წლით წინ)

აიმიბეი, სრუ წინასწარმეტყველი და კანონი იოანემდინ წინასწარმეტყველევდნენ. თუ გინდაყე, რომ მიიღოთ, ის არი ელია, რემენიც უნდა მოვდეს. მალ. 4:5,6. მათ. 11:13,14.

17. გაცნობევყე ღმერთი ნათქომ კანონ: უფალმა მითხრა: "შენ ჩემ შული ხარ, დღე გაგაჩინე შენ; (1000 წლით წინ)

რახანაც მაინათლა, იესო უგიმაშინავ ომოვდა წყლით. და აჰა, გაიხსნა ცა და დაინახა ღმერთი სული, რემენიც მტრედივი გოდმოდიოდა, მაგაზე რომ ეშებოდა. და აჰა, ხმა იყო ცით, რემენიც ამბოვდა: " ეს არი ჩემ საყვარელ შული, რემენშიც არი ჩემ სიკეთე." ფსალ. 2:7. მათ. 3:16,17.

18. და გუმუვა ყლორტი იესი მოჭრილ კუნზით და ახალ ომნაყარი მაგი ზურკით. (700 წლით წინ)

წავდა და დასახდა ქალაქში, რემენსაც ნაზარეთ ეზახოდნენ, რომ ასრულებულიყო წინასწარმეტყველები ნათქომი, რომ მაგა ნაზარეველ დოვზახევდნენ. ეს. 11:1. მათ. 2:23

19. უგიმაზრ რომ აღრალი მაგიბეი ბლენი, მინც შემიწრუბულია. როგორც წინა დროიბმა დაამცირეს ზუბულუნი ქვეყანა და ნაფთალი ქვეყანა, აიგრიავ

უკანახიანდელმა განადიდა ზღვი გზა იორდანეი გაღმა, ურწმუნოიბი გალილეა. ბლენში ნატარ ხალღმა დაინახა სინათლე; სიკვდილი გრილოი ქვეყნი ხალღევზე გაბრწყინდა. (700 წლით წინ)

მიატოვა ნაზარეთი, წავდა და დასახდა ზღვი პირზე ნაქნარ კაპერნაუმში, ზებულუნი და ნეფთალი საზღვრევზე, რომ ასრულებულიყო ესაი წინასწარმეტყველი ნათქომი: "ზებულინი მიწა ნეფთალი მიწა, ზღვი პირზე ნაქნარ გზა იორდანეი გაღმით, ურწმუნოიბი გალილეა. ხალღმა, რემენიც ბლენში ისხდნენ, დაინახეს დიდი ნათელი, გრილოი ქვეყანაში ნასხდომთ ნათელი ომოვბრწყინდაყე." ეს. 9:1,2. მათ. 4:13-16.

20. დაისმინეთ, იგავებიბეი გავხსნი პირ, ავალაპარიკევ დასაწყისი გამოცანევ. რაც მავსმინეთ და გავგით, და ჩონ მამაიბმა რაც მოგიყოს, არ დოვმალავთ უგიმა შულევ, მონასულ თაობას მოვყებით უფლი ქება-დიდებას და მაგი სიზლიერეს, და უგი საჰწაულევ რაც გააკეთა.

და თქო მაგამ: "წაი და უთხა ამ ხალღ: "სმენით მაისმენთ და ვერ გაიგევთ, ხედვით დაინახავთ და ვერ მიჰხდებით!" გაასუქ ამ ხალღი გული და დაამზიმ მაგათ ყურები, და დაახუჭინ თავი თოლი, აიმაზრ რომ თოლებით ვერ დაინახოს და ყურებით ვერ გაიგოს და მაგი გულმა ვერ გაიგოს და არ შომობრუნდეს და არ გუმუვაგო." (1000-700 წლით წინ)

მოვდნენ მაგასთან მოჰწავლეები და უთხრეს იესოს: "რებეი ელაპარიკები მაგათ იგავებით? "იმამ კი უპასუხაყე: "უგიმიბეი, რომ თქენ მოცემული გაჰყე ცათა სასუფეველი საიდუმლოი ცოდნა, მაგათ კი არ აჰყე მიცემული. აიმაზე, რომ მისაც აქო იმა მიეცემა ბოლ-ბოლა, და მისაც არ აქო, უგისეც წეერთმევა, რაც აქო. იგავებით უგიმიბეი ველეპარიკებიტე, რომ ისინი უჭრეტიან და ვერ ჰხედენ, უსმენენ და არ ესმისყე და ვერ ჰხდებიან. ესაი წინასწარმეტყველი ნათქომი სრულდება მაგათზე რომ თქო: ""სმენით მაისმენთ და ვერ გაიგევთ, ხედვით დაინახავთ და ვერ მიჰხდებით!" გაასუქ ამ ხალღი გული და დაამზიმ მაგათ ყურები, და დაახუჭინ თავი თოლი, აიმაზრ რომ თოლებით ვერ დაინახოს და ყურებით ვერ გაიგოს და მაგი გულმა ვერ გაიგოს და არ შომობრუნდეს და არ გუმუვაგო." ამ სურამეს აგავებით ებნებოდაყე იესო და უიგავო რამეს არ ებნმებოდაყე, რომ ასრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველი ნათქომი, რემენიც ამბოვს: "იგავებით გავხსნი ჩემ პირ. ვიტყი რაც თავითავ დაფარულია." ფსალ. (78) 77:2-4. ეს. 6:9,10. მათ. 13:10-15; 34,35

21. უფალ ღმერთი სულია ჩემზე, აიმაზე რომ დამნიშნა ღმერთმა, რომ ვახაროყე გაჭირებულევ, გამამგზავნა მე გულგატეხულები შაახევლა, რომ გომოვცხადო ზალოკში ნაქნარევ თავისუფლება და დაჭერულევ-ნარუჩნიკები შეხსნა; გუმუვაცხადო უფლი ნამდომ წელი და ჩონ ღმერთისი აჟიღი განაღევ დღე, აიმაზე რომ გული ოვღო სრუ ნატირ. (700 წლით წინ)

"ღმერთი სულია ჩემზე, აიმაზე რომ მაგამ დამნიშნა გაჭირებულები სახარებლა , გამამგზავნა მე გულგატეხულები გამააგებლა, ზალოკში ნაქნარებიბეი თავისუფლებაისი და ბრიმებიბეი თოლი აახილებლა. დაჩაგრულები გაათავისუფლებლა, ღმერთი გუნაჰები ნაჩუქევ დღი გამააცხადებლა." ეს. 61:1,2. ლუკ. 4:18,19.

22. დაიფიცა უფალმა და არ მაინანიევს: "შენ ხარ მღდელი ახირამდინ მელქიცედეკი წესით." (1000 წლით წინ).

ეიგრეც ქრისტეს არ გოვდიდებია თავი თავი, რომ მღდელმთავარი ქნილიყო, ანჟახ იმავ, მინც მაგა უთხრა: "ჩემ ბიჭი ხარ შენ, მე დღე გაგაჩინე შენ" როგოც სხოგანაც ამბოვს: "შენ ხარ მღდელი ახირამდინ მელქიცედეკი წესით." ფსალ. 109(110):4. ებრ. 5:5,6.

23. მე დავლოცე ჩემ მეფე სიონზე-ჩემ წმიდა მთაზე." მაგრა გაიხარ, სიონი ქალო! ყიჟინა დაჰცი, იერუსალიმი ქალიშულო! აჰა, შენ მეფე მოდის შენთან, მაჰთალი და გამარჟვებული. თუნუერია ის და შემჟდარია სახედარზე და ჩოჩორზე, ჭაკი ვირი ბახალაზე. (1000-500 წლით წინ).

თავს ზეი დოვდგეს დაწერულ დაბრალება: "ეს არი იესო, იუდეველები მეფე". და წაიყონეს ჩოჩორი (ვირი) იესოსთან. ზედ თავი ჩააცმელი დოვფინეს და შეჟდა მაგაზე. ბევმა დოვფინა მაგა გზაზე თავი ჩააცმელი, ზოგევმა კი მინდორში მოჭრილ ტოტები. წინ წანასულებიც და უკან განაყოლებიც ღიღინოვდნენ: "ოსანა! დალოცილია უფლი სახელით მონასული! დალოცილია, ჩონ მამაისი, დავითი მონასულ სამეფო! ოსანა, მაღალთა შინა!" და შევდა იესო იერუსალიმში, ტაძარში, და დაათოლიერა სურამე. უჟერ გუანი იყო და თორმეტთან ეჰთა გავდა ბეთანიაისყენ. ფსალ. 2:6. ზაქ. 9:9. მათ. 27:37. მარკ. 11:7-11.

24. ჩულებისი და ზუზუი ნაჭამები პირით დაამტკიცე ციხე-ბურჯი შენ მტრები წინააღმდეგ, აიმაზე რომ გეგეჩუმებინა შენ მტერი და აჟიღი განაღები. (1000 წლით წინ).

უთხრეს მაგა: "თუ იგევ რას ამბობენ აისენი?" იესომ უთხრაყე მაგათ:" ჰოვ! განა ბეთ არ წაგიკითხავყია: ჩულებისი და ზუზუი ნაჭამები პირით დაიმკიდრე დიდება."" ფსალ. 8:2. მათ. 21:16.

25. ჩემ ახლო მეგობარმაც კი, მის იმედიც მქონდა, მინც ჩემ პურ ჭჭამდა, წიხლი ჩამაზილა. ვეტყი მაგათ: "თუ მაზლევთ, მამეცეთ ჩემ წილი, თუ არ და ნუ მამცემთ. და მამიწონიან ჩემ წილ ოზდაათ ვეჰცხლ". მითხრა უფალმა: "ჩაყარ ეისნები საგანზურში - კაი ფასი, როგორც მე დავფასდი იმათგან." მეც ავღი ოცდაათ ვეჰცხლი და ჩავყარე უფლი სახლი საგანზურში. (1000-500 წლით წინ)

ჟერ ჯუღაბი არ დეემთავრებინა, რომ უჟერ მოვდა ხალღი და იმათ წინ მოჰყებოდა თორმეტით ერთ-ერთი, რემნი სახელიც იუდა იყო, და მოვდა იესოსთან საკოცებლა. იესომ უთხრა მაგა: "იუდა, კოცნით ჰყიდია კაცი შულ?"

უგიმაშინ თორმეტით ერთი, იუდა ისკარიოტელ რომ ეზახოდნენ, წავდა მღდელმთავრევთან. უგიმას აქათი მომენტ ეზევდა , რომ გეეყიდა იესო. (41) 40:9. ზაქ. 11:12-13. ლუკ 22:47-48. მათ. 26:14-16.

26. "თუ მაზლევთ, მამეცეთ ჩემ წილი, თუ არ და ნუ მამცემთ. და მამიწონიან ჩემ წილ ოზდაათ ვეჰცხლ". მითხრა უფალმა: "ჩაყარ ეისნები საგანზურში - კაი ფასი, როგორც მე დავფასდი იმათგან." მეც ავღი ოცდაათ ვეჰცხლი და ჩავყარე უფლი სახლი საგანზურში. (500 წლით წინ)

უგიმაშინ შესრულდა წინასწარმეტყველ იერემიაი ნათქომი, რემენმაც თქო: "და აიღეს ოზდაათ ვეჰცხლი, შეფასებული ფასი, მინც შეფასდა ისრაელიანებიგნი, და მიჰცეს მეთუნეი მინდორში, როგოც დამავალა მე უფალმა." ზაქ. 11:12-13. მათ. 27:9,10.

27. წამაიშლებიან ჩემზე ბოროტ მატყუარა მოწმეიბი; რაც არ ვიცი, უგიმა მამკითხენ. (1000 წლით წინ)

ზოგები ადგნენ და აბრალევდნენ იმა, ამბოვდნენ: ჩონ გავგით, რომ ლაპარიკოვდა: მე დავანგრევ ამ ხელით გაკეთებულ ტაძარ და სამ დღეში ავაშენევ სხოს, ხელით არ გაკეთებულვო. ფსალ. 35:11. მარკ. 14:57,58.

28. შემიწრიბული იყო და ნაწამები, ანჟახ არ გოვხსნია თავი პირი, როგორც ბატკან, დააკლელა რომ მიჰყონენ, და როგორც ცხორი, მაგი გამპარსელები წინ რომ განაბული დგას. (700 წლით წინ)

პილატემ კიდემ მოჰკითხა მაგა: "რამეს არ უპასუხევა? ხედავა,რაქთონ რამეს გაბრალებენ?" ანჟახ იესო რამეზე არ პასუხოვდა და ეის ამათევდა პილატეს. ეს. 53:7. მარკ. 15:4,5.

29. ჩემ ზურგი მივეცე ჩემ დამშენელაიბ და ჩემ ლოყები - თმები დამგლეჟელაიბ. ჩემ პირ არ ვიფარავდი გალანზღიგან და შეჟუდებიგან. (700 წლით წინ).

უგიმაშინ დოვწყეს შეჟუდება პირში და დაშენა, ზოგები შილლას აწნავდნენ. ეს. 50:6. მათ. 26:67.

30. არ გაიხარონ ჩემზე, ჩემ მტრევმა ტყუულა, ჩემ მონაზულნი ერთმეთ თოლით ანიშნებენ უმიზეზოდ. უმიზეზო მოზულე უფრო ბევრი მაქო, ვიდრე თმა მაქო თავზე. გაზლიერდნენ ჩემ განადგურები ნამდომები, ჩემზე ტყუულა გადამტერებულნი; რაც არ წამიჰთომ, უგისენდა დავაბრუნო. (1000 წლით წინ).

მე რომ არ გემეკეთებინა მაგათ არაში საქმეები, რემენებიც სხო მიმეს არ გოვკეთებია, მაშინ გუნაჰც არ ექნებოდაყე. ახლა კი დაინახეს და შოგიზულეს მეც და ჩემ მამაც. ანჟახ ასრულდეს მაგათ კანონში დაწერულ ჟუღაბი: "უმიზეზოდ შემიზულეს." ფსალ. (35) 34:19. (69) 68:4. იოან. 15:24,25.

31. უგიმიბეი ბავ მივცემ მაგა წილ და ზლიერევთან ერთა გაიყოფავს, იმიკოლა, რომ სასიკდილოდ დადო თავი ჟანი და ფინთობი ნაქნარ ინსნები არაში გამააცხადეს, და ბევრი გუნაჰი აიღო თავი-თავზე და გუნაჰიანებიბეი ღმერთისი და ჩონ არაში ჩადგა. (700 წლით წინ).

უგიმაშინ მაგასთან ერთა ჯვარზე გააკრეს ორ ქურდი: ეჰთი მარჯნივ და ეჰთი მაჰცხნივ. და ასრულდა წერილი, რემენშიც ნათქომია: "ფინთობი ნაქნარ ინსნები არაში გომოცხადდა". ეს. 53:12. მათ. 27:38. მარკ. 15:27,28.

32. და ოვრივეს ჩემ საჭმელში ნამღელი, და წყურვილი დროს დამალევნეს ზმარი. (1000 წლით წინ).

მიჰცეს მაგა ნამღელნარევ ღუნე დაალევლა და, რომ გასინჟა, დალევა აღარ მოუნდა.

იცოდა იესომ, რომ უჟერ მოჰჩა სურამე წერილი შაასრულებლა, თქო: "მწყურია!" უგიქე ზმრით სავსე ყაბი იდგა. ზმრით გაჟღნთულ გუბკა წამააცოს უსუპი შტოს და პირთან წოვღეს. რახანაც დალივა ზმარი, მაშინ იესომ თქო: "აღსრულდა!" და მაიდრიკა თავი და სული ომოვშო. ფსალ. (69) 68:21. მათ. 27:34. იოან. 19:28-30.

33. რაკი იმგურგლუ შეემეხივნენ მე ზაღლები; არვარგები ხროვა მემეხივნენ მე, გამიხრუტეს ხელები და ფეყები.

გოდმოვღრუ დავითი სახზე და იერუსალიმი ნაცხოვრებზე მადლის და მიტევები სულ და დამინახენ უგისნები მე, რემენიც მამკლეს. და დაიტირებენ უგიმა, როგორც დედაი ერ შულ ტირიან და გამწარდებიან მაგი დერდიბეი, როგორც სიპტანდელ შულუბეი მწარდებიან. (1000-500 წლით წინ).

უთხრეს მაგა სხო მოჰწავლეებმა: "ჩონ დავნახეთ უფალი." იმან უთხრა მაგათ: "თუ მაგი ხელევზე დამიხულ ადგილ არ დავნახავ და დამიხულ ნახრეტში ჩემ თით არ ჩავყოფავ და მაგი ფერდში - ჩემ ხელ, არ დავჟერევ! რუვა დღესუკან მაგი მოჰწავლეები კიდემ შინ იყნენ და თომაც მაგათთან იყო. შევდა იესო ჩაკლეტულ კარევში, დადგა შუაში და თქო: "მშვიდობა თქენ." მემრე თომას ებნება: "მაიტა ეიქ შენ თითი და გასინჟ ჩემ ხელები. მაიტა შენ ხელი და ჩადევ ჩემ ფერდში. არ დანაჟერები კი ნუ იქნები, მორწმუნე იქენ." ფსალ. (22) 21:16. ზაქ. 12:10. იოან. 20:25-27.

34. სრუ, მინც მხედავს, მე დამცინის: მასხარაში მიგდებენ და თავ აქნევენ. (1000 წლით წინ).

იდგა ხალღი და უჭრეტოდა. მთავრებიც დაჰცინოდნენ და ამბოვდნენ: "სხოიბ აჰჩენდა, ახლა თავი-თავი გადაიჰჩინოს, თუ ჰიგისე ქრისტერი (გადამჰჩენელარი), ღმერთი არჩევლი." ფსალ. (22) 21:7,8. ლუკ. 23:35.

35. ჩემ ჩააცმელ იყოფენ და წილ ჰყრიან ჩემ კვართზე. (1000 წლით წინ).

იესო ამბოვდა: "მამავ, აპატივ ამათ, აიმაზე, რომ არ იციან, რას აკეთებენ."

და გაიყოფეს მაგი ჩააცმელი წილიყრით.

ჯვარზე რომ გააკრეს, წილიყრით გაიყოფეს მაგი ჩააცმელი. ფსალ. (22) 21:18. ლუკ. 23:34. მათ. 27:35.